ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6123352

ნომერი: AR1922192

თარიღი : 09.09.2022

გაცემის თარიღი : 14.09.2022

გაცნობის თარიღი : 15.09.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი პეკინი , N 30;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ილია ცინცაძე პ/ნ 01026003466
- თბილისი ზ.ბოლქვაძის ქ. N 3 ბ. 32

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 04 თებერვლის №5274406 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 09

სექტემბერს №AR1922192 განცხადებით მომართა ილია ცინცაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2021 წლის 04 თებერვლის №5274406 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 04 თებერვლის №5274406 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, გამსახურდიას გამზირი №30-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.14.030.020), მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის (სასტუმრო, საცხოვრებელი, კომერციული და სხვა) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 04 თებერვლიდან 2022 წლის 04 თებერვლის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2021 წლის 04 თებერვლის №5274406 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, კომერციული ფართობი 2248.81 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 2245.93 კვ.მ., საზაფხულო ფართობი 2427.65 კვ.მ-ის ნაცვლად 2425.13 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 2070.06 კვ.მ-ის ნაცვლად 2106.65 კვ.მ., დამხმარე ფართობი 19.59 კვ.მ-ის ნაცვლად 50.19 კვ.მ., სასტუმროს ნომრების ფართობი 6897.58 კვ.მ-ის ნაცვლად 6918.94 კვ.მ. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ფართობები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, გეგმარება არ იცვლება, ხდება მხოლოდ გეგმებზე ფართობების გასწორება. ამასთან, სამსახურმა დაადგინა, რომ ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გასწორება გამოიწვევს საერთო ფართობის ცვლილებასაც და საერთო ფართობი 18640.19 კვ.მ-ის ნაცვლად იქნება 18723.34 კვ.მ.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 04 თებერვლის №5274406 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში კომერციულ ფართობად დაფიქსირდეს: 2245.93 კვ.მ., საზაფხულო ფართობად: 2425.13 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად: 2106.65 კვ.მ., დამხმარე ფართობად: 50.19 კვ.მ., სასტუმროს ნომრების ფართობად: 6918.94 კვ.მ., საერთო ფართობად: 18723.34 კვ.მ.
2. სამსახურის 2021 წლის 04 თებერვლის №5274406 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები (გარდა გადახურვის გეგმისა) ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 04 თებერვლის №5274406 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 04 თებერვლის №5274406 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.